საქართ. მეშარეხენ ხოც.-ო�drბალიტერა სარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 236

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, ივლისის 4 1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

განცხადება

თანახმად ქალ. ტფ. აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებისა

ამა წლის მაისის 24-ს თვითეულ სამოქალაქო უბნებისათვის ინიშნება შემდეგი დღეები სადარაბო ქირის შემოსატანად ყოველ თვიურად ამა წლის. დარაბების მეპატრონეებმა აუცილებლად უნდა შემოიტანონ სადარაბო ქირა ქალაქის სალარაში აღნიშნულ ვადებში.

1 უბანი.	28—29	რიცხვში ყოველ თვისა.
2 „	15,16 ⁄ 17	„ „ „
3 „	18,19 ⁄ 20	„ „ „
4 „	12,13 ⁄ 14	„ „ „
5 „	8 9,10,11	„ „ „
6 „	30	„ „ „
7 „	21—22	„ „ „
8 „	4,5,6,7	„ „ „
9 „	1,2,3	„ „ „
10 „	23,24,25	„ „ „
11 „	26	„ „ „
12 „	27	„ „ „

ივლისის 1-დან სადარაბო გადასახადი იმ დარაბებზე, რომლებზეც არ იყო მომატებული ხახით შეწირული გადასახადი ამა წლის მაისის 1 ლიდან გადიდებული იქნება 50 პროცენტით.

ის მოჯარადრეები, რომლებიც აღნიშნულ ვადაში არ შემოიტანენ საჯარო გადასახადს, გადიხდიან ჯარიმას 50-ათას მანეთს ყოველ გადაცილებულ დღეებზე. ის მეპატრონეები, რომლებიც გადაცილებენ 10 დღეს, კარგავენ უფლებას თავის დარაბაზე.

ქალ. ტფ. აღმასრულებელ კომიტეტის საფინანსო განყოფილების გამგე:

თ. ლლონტი.

ქ. ტფილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებიდან

შაბათს, 8 ივლისს

დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ბოსტნეულობის: პომიდორის, კარტოფილის, კომბოსტოსი, ბადრიჯანის, კიტრის და სხვა და სხვა წვანილეულობის, აგრეთვე სიმინდის, ქალაქის მამულში № 1. (ყოფილი მანთაშევის მამული) ვორონცოვის, № 125.

საჯარო ვაჭრობა მოხდება 8 დესეტინა მიწაზე დათესილი ზემოხსენებული ბოსტნეულობით.

საჯარო ვაჭრობა შესდგება ქ. № 1 მამულში (ყოფილი მანთაშევის ბაღი) დღის 12 საათზე. თუ დანიშნულ დროს საჯარო ვაჭრობა შემოხვევით არ შესდგა, უკანასკნელად გადიდობა მეორე დღისათვის (9 ივლისს) დღის 12 საათზე იმავე ადგილზე.

საჯარო ვაჭრობის პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ქალაქის საადგილ-მამულო განყოფილებაში, ოთახი № 52, ან ქალაქის № 1 მამულში.

საბჭოთა ხელისუფლება და საქართველოს სინამდვილე

ქალაქ ტფილისის საბჭოთა არჩევნები უკვე დამთავრდა და როგორც მოსალოდნელი იყო გამარჯვება საბჭოთა სისტემის მოჰხრე პარტიებს ხვდათ წილად. კომუნისტურმა პარტიამ ტფილისის საბჭოში კვლავ დიდი უმეტესობა დეპუტატებისა გამოიყვანა და ამით უზრუნველყო თავისი გავლენა ქალაქში. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია შედარებით მცირე ჯაჭვს წარმოადგენს ახალს საბჭოში, ძველმა წარსულ არჩევნებთან შედარებით ხუთი დეპუტატი გადაყვანა მეტი. მემარჯვენეებმა კვლავ გახიეორეს თავიანთი ნაცადი ტაქტიკა საბჭოთა ხელისუფლების ბიმართ და არჩევნებს ბოიკოტით უპასუხეს. მართალია ამ ტაქტიკამ წარსულში გაბოლოა მათი პოლიტიკის სიკოტრე და სავსებით გარიყა ისინი საბჭოთა მშენებლობის პროცესიდან, სამაგიეროთ მათ ხელი არ აუღიათ პოლიტიკურ მოდვაწეობაზე და მათი სამოქმედო ასპარეზი შეიქმნა როგორც ბნელი სარდაფები ხალხში ჭორაობისა და დემაგოგიის გასავრცელებლად, ისე დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების სრასასახლეები, სადაც ისინი მუდარით ეხვეწებოდნენ ბურჟუებს საქართველოში ძველებური ძალა უფლების აღდგენის დახმარებაში. ორივე ამ მიმართულებით მემარჯვენეების პოლიტიკამ(დღეს ალარ შეიძლება მარტო მენშევიკებზე ლაპარაკი, მათ მხარს უმშვენებს ძემარჯვენე ფედერალისტები და ნაციონალისტები ყველა ჯურისა. ამ ჯვარი სახით შეთანხმებულად გამოდიან ყოველის მიმართულებით) სრული დამარცხება განიცადა. საქართველოში ხალხმ, ქალაქისა და სოფლის მშრომელმა ნაწილმა, კარგად შეიგნო მათი პოლიტიკის დამღუპველი მნიშვნელობა და ყველანი ამოვარდნენ მემარჯვენეებს. ღალატმა არჩევნებმა დაამტკიცა, რომ ფართო მშრომელი მასა უკვე დაადგა შეგუების პოლიტიკას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და ახალ ცხოვრების შექმნაში თავისი წესაფერისი წვლილი შეიტანოს. უპარტიო მასის საბჭოთა მშენებლობის პროცესში ჩაბმა და მათი მუშურ-გლეხურ ხელისუფლების გავლენის ქვეშ დადგომა, თავისთავად აცლის ხელიდან მემარჯვენეებს დასაყრდენ ნიადაგს. მეორეს მხრით, საერთაშორისო პოლიტიკაში მემარჯვენეებმა დიდი დამარცხება განიცადეს. მათი ცდა, აეძულებინათ იმპერიალისტების დახმარებით საბჭოთა რუსეთი გაეყვანა საქართველოდან წითელი ჯარი და ადგენინათ მენშევიკური მმართველობა ჩვენში, სრული დამარცხებით დამთავრდა. ჯენუას კონფერენციამ ყველა ერი ეუარა საკითხსა და პირდაპირ გამართა მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან ყოველგვარ მენშევიკურ მოითხოვნის გარეშე.

ამგვარად არც შინ და არც გარეთ მენშევიკების პოლიტიკას გასავალი არ მიეცა. დღევანდელმა ობიექტიურმა მდგომარეობამ გააკოტრა მათი სამოქმედო ველი და მთელი მათი პოლიტიკა დამღუპველად ვამოცხადა ქართველი ხალხისთვის. დღეს არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ ყოფილი საშუალებითა და მეთოდებით ბრძოლა ყოვლად მიუღებელია. ჩვენი დღევანდელი პირობები დაჟინებით მოითხოვს არსებული ხელისუფლებასთან შეგუების, შეთანხმების პოლიტიკის წარმოებას. ამ პოლიტიკის გარეშე დგომა და ბრძოლის გაჩაღება ყოველ ფრონტზე ხელისუფლების წინააღმდეგ არ შეიძლება გამართლებული იქნეს ჩვენი ერის ინტერესების მიხედვით. ხალხისა და ერის ინტერესები ვეკ რნახებს მხურვალე მონაწილეობა მივიღოთ იმ პროცესში, რომელიც ხდება დღეს საქართველოში. განზე გადგომა, ბოიკოტისა და საბოტაჟის ტაქტიკა ამ შემთხვევაში პირდაპირ საზიანო არის ჩვენი ეროვნული საქმიანობისათვის. მემარჯვენეებმა ეს უბრალო დებულება ვერ გაიგეს და დღეს ისე არავინ არ აყენებს ზიანს ჩვენს საქმეს, როგორც მათი შეურიგებელი პოზიცია.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს და დღესაც ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ დღევანდელი ჩვენი ერის, როგორც საშინაო, ისე საგარეო მდგომარეობა დაჟინებით გვიკარნახებს შინაური ძალების შეთანხმებას, მათს მორიგებას. საოქალაქო ომის გაჩაღება ჩვენში ეს იქნებოდა პირდაპირ დამღუპველი ჩვენი ეროვნული არსებობისათვის და ვინ მას, ვინც გაბედავს ასეთს რამეებზედ იფიქროს, იმოდვაწეოს. ამ მეთოდს შეუძლია მიმართოს მხოლოდ საქართველოს მტრებმა და აშკარა ავანტიურისტებმა.

მაგრამ ვისთვისაც ძვირფასი არის თავისი ერი და ზრუნავს მისი მომავლისთვის, ის იძულებულია ხელი აიღოს ამ გვარს ავანტიურაზე და ერი გადაარჩინოს განადგურებას. დიდმა რუსეთმა აიტანა ოთხი წლის საოქალაქო ომი და ეკონომიური ცხოვრების განადგურება და ეს შესაძლებელი შეიქნა იმიტომ, რომ რუსეთი თავისი ფიზიკური ძალებითა და ეკონომიური ენერგიით დაუძლეველი არის. მაგრამ საქართველო, რომლის სისუსტე ყოველ დარგში ცნობილი არის, ვერ აიტანს ასეთს ომებს და ზედ გადაყვება ფიზიკურადაც, ეს გარემოება უნდა ახსოვდეს ყველას და თავისს პოლიტიკას საფუძვლად უნდა დუდვს. პოლიტიკური და აუცილებელია, ძა ჩვენი ეროვნული სინამდვილეც მოითხოვს, მაგრამ პოლიტიკურს ბრძოლას თავისი საზღვარი აქვს და ეს საზღვარი განსაკუთრებით გაჩენილია უნდა იქმნეს საქართველოში. თავდავიწყებითა და გამეტებით ბრძოლა შეიძლება სასარგებლო იყოს რომელიმე ჯგუფებისთვის, მაგრამ ხალხისა და ერის ინტერესები ასეთს ტაქტიკას ვერ დაუშვებს ჩვენში.

ამ გვარათ პოლიტიკურ პარტიათა საოქალაქო პროგრამიდან მოხსნილი უნდა იყოს ასეთი მეთოდები ბრძოლის, თუ მათ არ სურთ ერის გადაშენება და ფიზიკური განადგურება.

მაგრამ უარსაყოფია საოქალაქო ომის ტაქტიკა და უკიდურესი შეურიგებლობა, არც ბოიკოტისა და საბოტაჟის ტაქტიკა არის მისაღები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთს ყოფაში ჩვენი ხალხი დიდხანს ვერ გასძლებს და იგი იძულებული იქნება აქტიური მონაწილეობა მიიღოს ჩვენი ცხოვრების აღორძინების საქმეში. ბოიკოტის ტაქტიკა პოლიტიკური უმოქმედობისა და პასიურობის გამოხატველია. მასთანავე, თუ ჩვენ გვინდა ჩვენი ეროვნული საქმე ძტკიცე ძალების ხელში იქნეს და მას არ დაეპატრონონ უცხოელები, მთელის ჩვენის არსებით უნდა ჩავებათ საბჭოთა მშენებლობის პროცესში და მხურვალე მონაწილეობა მივიღოთ ამ მუშაობაში.

ამ რიგად ჩვენი ერის ინტერესები პირდაპირ უკარნახებენ პოლიტიკურ პარტიებს მოთიგებისა და შეგუების პოლიტიკის წარმოებას არსებულ ხელისუფლებასთან.

ცალკევდგენილია, ამით ჩვენ არ გვინდა ვსთქვათ, რომ ჩვენს ხელისუფლებას არ ჰქონდეს შეცდომები და მისი დღევანდელი პოლიტიკა სავსებით მისაღებათ იყოს ჩვენი ერისათვის. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ საქ. კომუნისტურ პარტიას არ აქვს გარკვეული ერეკნული პოლიტიკა და ეს გარემოება თავის დაღს ასვამს მთელს ჩვენს ცხოვრებას. ამ მხრივ მთელ რიგ კითხვებში გამატონებულმა პარტიამ საგრძნობი შეცდომები დაუშვა. რაც ძალიან დიდ ტკივილებს იწვევს ჩვენი ერის ცხოვრებაში. ჩვენისთანა პატარა ერისათვის, რომელმაც მრავალი საუკუნოები ეროვნული ჩაგვრის ქვეშ გაატარა, ეროვნული საკითხის მოწესრიგებითა და მისს გარკვეულს კალაპოტში ჩაყენებას გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს, ჩვენს ხალხს სწყურია თავისი ეროვნული უფლებათა დაცვა და ეროვნული კულტურის შესაფერისი პირობებით უზრუნველყოფა. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ქართველი მშრომელი ხალხი ენერგიულად იბრძოდა თავისი ეროვნული მეობის პოლიტიკურს ფორმებში განსხეულებას და დღეს ეს მისი ეროვნული სახელმწიფოებრივობა დაცული უნდა იქმნეს სავსებით. ჩვენს ხალხს არ უნდა თავისი მიწა-წყალი ვისიმე, თუ გინდ საბჭოთა რუსეთისაც, პროვინციად გადაიქცეს და საქართველოს ხსენება ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახელწოდებით შეიმჩნისაზღვროს, „პროვინციალიზმის“ პერიოდი ჩვენ უკვე განვლეთ და დღეს ამ ხანისაკენ დაბრუნება უალრესი შეურაცხყოფა იქნებოდა ქართველი ხალხისათვის. რუსეთის დიდმა რევოლიუციამ საქართველოს თავიანთი მოთხოვნილებანი აქამდისაც ლოდ გაუნადგა თავის მრავალ-საუკუნეთა განმავლობაში ტანჯვითა და სიმწრით ნაზარდი ეროვნული ზრახვანი და დღე ყოველი ნამდვილი რევოლიუციონერი შეგნებულად უნდა დადგეს ამ დიდი მონაპოვარის ყოველს პოსტებზე დასაცავად.

ვიმეორებთ, ამ მხრივ ჩვენმა ხელისუფლებამ ვერ გამოიჩინა სათანადო უნარი და ჩვენი ეროვნული საქმის მოწესრიგების საქმეში დიდი შეცდომები დაუშვა, მაგრამ ეს გარემოება ჩვენ სრულებით არ გვეუბნება განზე გავდგეთ ამ ხელისუფლებისაგან და მათთან ერთად არ ვიმოღვაწეოდ. შემცდარი პოლიტიკის გამოსწორება დღევანდელს პირობებში ჩვენში შესაძლებელი არის მხოლოდ დახმარებისა და თანამშრომლობის საშუალებით.

ჩვენი ერის დღევანდელი მდგომარეობა და მისი მომავალი დაჟინებით მოითხოვს ჩვენებური პოლიტიკური პარტიებისაგან ამ პოლიტიკის გზაზე დადგომას.

თუ მათ სურთ ერის სამსახური, ამისათვის მხოლოდ ერთი გზა არსებობს დღევანდელს პირობებში; შეგუება და თანამშრომლობა არსებულ ხელისუფლებასთან.

ს. დევიანი.

ნარკვევი

რეპარაციის საკითხის ჯარშემო.

ვერსალის ავანტიურმა პირობებმა ძალი ერ შეუწყო ხელი ევროპის ეკონომიურ განადგურებას. მაგრამ ყველაზე უფრო სასტიკად ეს ხელშეკრულება მიეპყრა გერმანიის ხალხს. გამარჯვებულმა ანტანტამ პირდაპირ მონობის ფელი დადვა გერმანიას და 65 მილიონიანი კულტურული ერი სურს კოლონიალურ მდგომარეობამდე დაიყვანოს. გერმანია იძულებული ხდება მას ეკონომიური ცხოვრებისათვის აუტანელი გადასახადები მიართვას საფრანგეთის იმპერიალისტებს. მაგრამ სარეპარაციო გადასახადების საკითხმა, როგორც ირკვევა, უთანხმოება დაბადა თვით მოკავშირეთა მორის. ინგლისი მხარს აღარ უჭერს საფრანგეთის დაუსრულებელ მოთხოვნილებებს. მეორეს მხრით ამერიკაც მომხრე არის გადასახადის შემცირებისა და ვერსალის პირობების გადასინჯვის.

სარეპარაციო გადასახადების საკითხმა საკმაო მნიშვნელობის ცვლილებები განიცადა. გერმანიის გადასახადის რაოდენობა რამოდენიმეჯერ შემცირდა სხვა და სხვა კონფერენციებზე. მაგრამ დღესაც არ არის საესებით დამთავრებული მისი გამოკვლევა. კვლავ დაისვა ამ რამდენიმე დღის წინად ბანკირების კონფერენციაზე. მოსკოვის „იზვესტიანი“ ეხება რეპარაციის საგანსა და სწერს:

როგორც ვიცით, საფრანგეთი იძულებული შეიქმნა დაეთვა რეპარაციის შესახებ საკითხის დასმა საერთაშორისო კაპიტალიზმის უმაღლეს ინსტანციაში, ბანკირების კონფერენციაზე. საფრანგეთის ბურჟუაზიის ბემარი პრესა თითქმის მზად იყო დასთანხმებოდა რეპარაციის შეცოკლებაზე, თუ მას თან მოყვებოდა უმეშვეო სარგებლობა საფრანგეთისათვის გადასახადების დაუყოვნებლივი შეტანის სახით; ეს კი შესაძლებელი იყო გერმანიისათვის სესხის მოწოდებით. მაგრამ მალე ამის შემდეგ წამოიჭრა საფრანგეთის ამერიკისათვის მისაცემი ვალების გაუქმების საკითხი და ბოხდა შეფერხება. პუანკარემ საჭიროდ დაინახა ხელმეორედ აღებინა თავისი (შეურიგებლობა) ანგარიშურების შემცირების საკითხში, და კონფერენცია მორგანის, ვასერიხგისა (ამერიკელი ბანკირებია) და მათი ძალების გადადებულ იქმნა მთელი სამი თვით. მაგრამ რა ხდება კულისებში დანახვილებით არ ვიცით. შესაძლებელი არის წარმოვიდგინოთ, და ეს იქნება სრული სიმართლე, რომ ბსოფლიო კაპიტალიზმის ავგუერები (жрецы) ვაჭრობენ ერთმანეთს შორის ისე, როგორც ვაჭრობდნენ გენუაში, რადგან აუცილებლობა ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვისა ნათელი შეიქმნა მათთვისაც; ამას მოითხოვს თვით მდგომარეობის მსვლელობა.

მართლაც განა იძულებულნი არ იყვნენ „გამარჯვებულები“ შეემცირებინათ ომის გათავების მეორე დღესვე ლოიდ ჯორჯებმა და კოტცებმა აუწყეს, რომ გერმანიამ გაჭირდა რეპარაციებისა და პენსიის უნდა გადაუხადის მოკავშირეებს მთელი სამხედრო ხარჯები. ვისაც ეს შეუძლებლად მიაჩნდათ, მას ბოშების (გერმანელების) მიერ გაყიდულ მოდალატედ აცხადებდნენ. რამოდენიმე თვის შემდეგ იძულებულნი შეიქნენ ხელი აიღოთ მთელი სამხედრო ხარჯების გადახდაზე გერმანიისაგან. ეს ერთი. მოკავშირეთა კონფერენციაზე ბულონში 1920 წ. შემოდგომაზე გერმანიის გადასახადების თანხა დაწესებული იქნა 259 მილიარდი მარკა გერმანულ ოქროთი. მაგრამ სამი თვის შემდეგ, 1921 წ. იანვარში უმაღლესი სამეო პარიზში იძულებული შეიქმნა შეემცირებინა 256 მილიარდამდე, რომელიც გადახდილი უნდა ყოფილიყო 42 წლის განმავლობაში, ამაში შედის კიდევ 12 პრ. გერმანული ექსპორტისაგან. ეს მეორე შემცირებაა. ამავე წლის მაისის 7-ს მოხდა მესამე შემცირება: დაიყვანეს გადასახადები 132 მილიარდამდე, რომელიც უნდა გადაიხადოს უკვე 67 წლის განმავლობაში. ამგვარად ამ ეამად მეოთხეჯერ უნდა მოხდეს შემცირება. საინტერესოა, რომ საფრანგეთის გაზეთების ცნობების მიხედვით, თვით საფრანგერთმა მისცა მორგანის (ბანკირების) კონფერენციას გერმანიის გადასახადების შემცირების გეგმა 39 მილიარდამდე, მხოლოდ იმ პირობით, რომ გაუქმებული ყოფილიყო მოკავშირეთა ვალები. ეს საფრანგეთისათვის ერთობ სასარგებლო კომბინაციაა. საფრანგეთმა ინგლისს უნდა მისცეს 14-მეოთხედი მილიარდი მარკა ოქროსი ამერიკას—3-მესამედი: რეპარაციიდან მას ერგება 52-პროც.—ეს სწორედ შეადგენს მისი ვალების გამოკლებითა და საფრანგეთის სასარგებლოდ ნაანგარიშევ ახალი ციფრით—40 მილიარდს. საფრანგეთი არაფერს არ დაკარგავს ამითი. და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ ეამად დრო გადასახადების განსაზღვრულია 67 წლით, მაშინ კი, თუ ბანკირების კონფერენცია დამთავრდება კეთილად, ზემოდ მოხსენებული 39 მილიარდი დაფარული უნდა იქმნეს სესხით, ე. ი. საფრანგეთს მიეცემა დაუყოვნებლივ და მცირე დროს განმავლობაში, ჩვენთვის ნათელი იქნება, რომ საფრანგეთის ბურჟუაზის ანგარიშში აქვს მისთვის მეტად სასარგებლო გეშეფტი (დაბალი ხარისხის სპეკულიაცია).

დაუყოვნებლივ გადახდა (საერთაშორისო სესხის სახით) ნაცვლად გადასახადებისა ნახევარი საუკუნის განმავლობაში განაწილებისა (ვინ იცის რა მოხდება ამ დროის განმავლობაში)—ისეთი პლიუსი არის საფრანგეთისათვის, რომ უნდა ვიფიქროთ, ის ბოლოს და ბოლოს დასთანხმდება ამაზე, თუ გინდა ამერიკამ უარი განაცხადოს მოკავშირეთ-

ების მთლიანად ვალების გაუქმებაზე. ამ თვალთახედვის წერტილიდან უნდა იქნეს შეფასებული ის საჯარო ვაჭრობა; რომელიც ხდება ამ ჟამად კულისებში.

პუანკარე ცოტა კიდევ შეყოყმანდება რეზულტატში, მორგანი გაიტანს თავისას, რეპარაციის ციფრი კიდევ ერთხელ შემცირდება. ვერსალის ხელშეკრულება შეიცვლება მას შემდეგ, რაც ის ფაქტიურად რეზოლიციერ შეიცვალა.

II

ორგვარი ცნობა

„პრავდას“ № 138-ში ამხ. კ. რადეკის წერილია, რომელიც აღნიშნავს, რომ ამერიკის შტ. შტატების მკერავთა კავშირმა რუსეთის მუშების დასახმარებლად გადადო 1 ნახევარი მილიონი დოლარი. მკერავთა კავშირის თავმჯდომარემ ამხ. ხილმანმა, როგორც გადმოგვცემს ერთ ერთი ბურჟუაზიული გაზეთი, განაცხადა, რომ მიუხედავად ბურჟუაზიის ფრაზეოლოგიისა მსოფლიო მეურნეობის აღდგენის შესახებ, არსებითად თუ მის ხელში დარჩა მეურნეობის აღდგენის საქმე, არავითარი იმედები არ შეიძლება მეურნეობის აღორძინებაზედო.

„ჩვენ ვეხმარებით დამშეულებს 1 ნახ. მილ. დოლარით—ეს დროებითი დახმარებაა—უნდა დავეხმაროთ ისე, რომ რუსეთში სიმშილი ამიერიდან აღარ იყოს“.

აღსანიშნავია, რომ ამხ. ხილმანი რუსეთში იყო ჩამოსული მუშათა მდგომარეობის გამოსარკვევად. იგი არ არის კომუნისტი, მაგრამ ჭეშმარიტი მუშაა, რომელიც ეწვია რუსეთს არა გასაკეცხავ მასალების შესაგროვებლად, არამედ დამშეულთა მდგომარეობის გამოსარკვევად და დახმარების აღმოსაჩენად.

ამხ. კ. რადეკი ადარებს ამხ. ხილმანს და ბრაუნტაილს, რომელიც, რომელიც, როგორც მკითხველს მოეხსენება, ჩვენში ჩამოვიდა, ამსტერდამის ინტერნაციონალის წარმომადგენლის სახელით ჩამოიტანა მედიკამენტები. კ. რადეკი გადმოგვცემს, რომ ბრაუნტაილი ვრცელ პამფლეტის სწერს საქართველოს შესახებ და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ვითომც ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საქართველოში მოსპო ყოველივე, რითაც მდიდარი იყო ეს მცენარეული სამოთხე.

ავტორი ადარებს ყვითელ ინტერნაციონალისა და ამერიკის მუშების წარმომადგენლის პოზიციას და აღნიშნავს პირველის მიზნებს საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ და მეორის ძალა გაწყობილებან რუსეთის მუშებისადმი და ენერგიული დახმარების აღმოჩენის ცდას.

ჩვენის მხრით ამ ნარკვევს შეგვიძლია დავამატოთ, რომ ყვითელი ინტერნაციონალი ღღეს ყველარ ბრალავს საბჭოთა რუსეთის ცნობის წინააღმდეგ ბრძოლას და თავის მხრივაც ხხარს უჭერს ამ ცნობას, მაგრამ ამით ის ხელს არ იღებს საბჭოთა ხელისუფლების სახელის გატეხაზე და ცნობის საშუალებით სურს ებრძოლოს მუშურ-გლეხურ ძალაუფლებას რუსეთში. სულ სხვა გვარი არის ნამდვილი რევოლიუციონერებისა და კეთილშობილ მოქალაქეთა მიზნები, მათ სურთ რუსეთის ცნობის საშუალებით დახმარება აღმოუჩინონ რუსეთის ხალხს და ხელი შეუწყონ ეკონომიურ აღორძინების საქმეს რუსეთში. ამგვარათ პირველნი იყენებენ რუსეთის ცნობას, როგორც ახალს საშუალებას მუშური ხელისუფლების ახალ ბრძოლისას; მეორენი კი—როგორც პირობებს დახმარებისა სამეურნეო ცხოვრების აღორძინების საშუალებას. ამ ორ პოლიტიკის შორის საკმაოდ მოზრდილი განსხვავებაა და მათი მორალური შეკნება სხვა და სხვა დონეზედ სდგას.

III

უმუშევრობა მსოფლიოში.

გერმანიის დელეგაციის მიერ გენუაში წარდგენილი იყო ფართო მემორანდუმი უმუშევრობის საკითხის შესახებ, რომელიც შეიცავს ცნობებს უმუშევრობის მდგომარეობისას 1922 წლის მარტამდე. მოგვყავს შემოკლებით ცნობები ამ მემორანდუმიდან მოსკოვის გაზეთების მიხედვით.

მთელს მსოფლიოში უმუშევრობა შეეხო დაახლოვებით 30 მილიონ მცხოვრებთ; 12 მილიონი უმუშევარი არის ევროპაში, აქედან 4 მილიონი არის ნამდვილი უმუშევარი და 8 მილიონს კი შეადგენს ის პირები, რომელნიც არიან სარჩენი უმუშევრად დარჩენილებისგან. გერმანიაში 200.000 უმუშევრად დარჩენილია, რომელთაც ეხმარება სახელმწიფო: ინგლისში მარტო უმუშევრად დარჩენილნი ტრედ-იუნიონების წევრები თითქმის 2 მილიონამდე აღწევენ; იტალიაში უმუშევრად დარჩენილები შემცირებულ საათობის მომუშავეებთან ერთად შეადგენენ 800 ათასს. შვეიცარიაში—150 ათასს, ბელგიაში—100 ათასს, დანიაში—100 ათასს, ნორვეგიაში—40 ათასზე მეტს, შვეციაში—100 ათასზე ბევრად მეტს. პოლონეთში—200 ათასს. ეს ციფრები 6—8 ჯერ აღემატებიან მშვიდობიანი დროის შეფარდებულ ციფრებს. შეერთებულმა შტატებმა ჩარიცხეს 3—4 მილიონი უმუშევარი; ყველა სხვა ქვეყნებში საგრძნობ უმუშევრობას აქვს ადგილი.

თუ ჩვენ მივიღებთ 3 ფრანკს ოქროთი, როგორც საშუალო რიცხვს ეხმარებისას, რომელიც უნდა აღმოუჩინონ დღეში უმუშევრად დარჩენილს, მაშინ ევროპის ყოველდღიური ხარჯი უმუშევართა დასახმარებლად იქნება 12 მილიონი, მთელს მსოფლიოში კი ეს ციფრი 30 მილიონ ოქროს ფრანკამდე მიაღწევს.

ამ გვარად, დახმარება უმუშევართათვის 1921 წლის განმავლობაში ყველა ქვეყნებს დაუჯდა დაახლოვებით 10 მილიარდი ფრანკი ოქროთი. 1918 წლიდან დახარჯულია ევროპისათვის მინიმუმი 8 მილიარდი მარკა ოქროთი, ყველა ქვეყნებისათვის კი 25 მილიარდი.

საერთო ჯამი უმუშევრობის გამო დაკარგულ სამუშაო ქირის თანხისა ევროპაში 1921 წლის განვლობაში აღწევს 10 მილიარდ ფრანკს. მთელს მსოფლიოში 25 მილიარდ ოქროს, ზავის ჩამოგდების მომენტიდან ევროპაში—25 მილიარდს, მთელს მსოფლიოში—60 მილიარდს.

ღირებულება იმ პროდუქტებისა, რომელიც საომრეწველო დეპრესიების გამოვერ იქმნა დამუშავებული, 1921 წლისათვის ევროპაში უდრის 15 მილიარდს, მთელი მსოფლიოსათვის—37½ მილიარდს, ზავის ჩამოგდების მომენტიდან ევროპისათვის—30—40 მილიარდამდე, მთელი კაცობრიობისათვის 100 მილიარდ ოქროს ფრანკზე მეტს. ეს თანხა მცირედით ნაკლებია საფრანკეთის სამხედრო ხარჯებზე.

კავშირი ვალიუტის მდგომარეობისა და უმუშევრობის შორის ფართოდ იყო გამოკვლეული სხვა და სხვა ნახრეებში. დამტკიცებულია, რომ უმუშევრობა სხვა და სხვა მხარეებში განსაკუთრებით განვითარდა ამ ქვეყნის ვალიუტის ცვალებადობით დოლართან დამოკიდებულების მიხედვით.

ბურჟუაზიული მთავრობის მიერ შედგენილ ანგარიშით, რომელშიაც ეპვი არ უნდა შეიტანოს არც ერთმა კეთილშობილმა სოციალისტმა შემთ ნხმებელთა წრიდან, ნათელი და გარკვეული ხდება, თუ როგორ მდგომარეობაში არის ღღეს კაპიტალისტური მეურნეობა. უმუშევრობა მთელს მსოფლიოში რამოდენიმე მილიონს აღწევს და ამ ციფრით დაავადმყოფებული არის განსაკუთრებით იმ მხარეებში, რომელნიც ეკონომიურად გამარჯვებულნი გამოვიდნენ საერთაშორისო ომიდან.

ეს არის ამერიკა და ინგლისი.

ეს ორი სახელმწიფო ღღეს ერთი მეორეს, ებრძვის მსოფლიო ჰეგემონიისათვის; ეკონომიურად მათ პირველი ადგილი უჭირავთ მთელს მსოფლიოში, მიუხედავად ამისა ორივე მხარეში ძლიერ განვითარებულია უმუშევრობა, რომლის რიცხვი 5—6 მილიონამდე აღწევს. რით უნდა აიხსნას ასეთი მდგომარეობა? ინგლისა და ამერიკას მსოფლიოს ვაჭრობის ჰეგემონია უპყრიათ ხელში, ღღეს ეს ვაჭრობა ვერ ვითარდება შესაფერისის ტემპით, რადგან ფართო მასას სიღარიბის გამო აღარ შეუძლია ყიდვა, მისი მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი რჩება, ამიტომ საერთაშორისო ვაჭრობა მცირდება, რაც თავის თავად იწვევს წარმოების შემცირებას აღნიშნულ სახელმწიფოში. ამ უკანასკნელმა კი გამოიწვია მთელი რიგი მუშების გამორეკვა წარმოებიდან და მათი უმუშევრად დატოვება. ასეთი მდგომარეობა ღღეს შექმნილი არის მთელს მსოფლიოში და ყოველი სახელმწიფო დაავადმყოფებული არის უმუშევრობის სენით.

ჩვენ არა ერთხელ გვქონდა აღნიშნული, რომ ეს უკანასკნელი ერი წილი განსაკუთრებით ხასიათდება საერთაშორისო კაპიტალის შეტევაზე გადასვლით მუშათა კლასის მიმართ. ხელფასის შემცირება, სამუშაო დროის გაზრდა, უმუშევრობა და სხვა. ეს მომენტები რომელნიც [illegible] ინტერესებისათვის მაგრამ ასეთი მეთოდი თავისთავად ამ წვავებს კლასთა ურთიერთობას ხელს უწყობს პროლეტარიატის კლასიურ თვითშემეცნების განვითარებას. მუშათა კლასი თან და თან რწმუნდება, რომ კაპიტალისტური წარმოების წესით შეუძლებელი ხდება კრიზისების და უმუშევრობის დაძლევა

ესერების პროცესი

მოსკოვი. 21 ივლისი, 1 აპრილის საღამოს სხდომის დასასრულს გამოქვეყნებული იქმნა ბრალდებულის ვედენიანინის დეპეშა და საფრანგეთის მინისტრის პაშონის პასუხი. პაშონის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში მოყვანილია ბოლშევიკებთან ბრძოლის შედეგები (გამოტოვებულია) სხვა და სხვა პირობებით, რომლითაც სწარმოებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ვედენიანინი ვრცლად ეხება ახალი მთავრობის შურისძიების კანონს და მოითხოვს პაშონისაგან ინტერვენციას და აკრეთვე სთხოვს დაეთანხმოს ამერიკელები რუსეთის საქმეებში ჩარევაზე. იმ დეპეშის საპასუხოდ პაშონი აცნობებს, რომ ის ბედნიერია გაიგოს ისეთი მთავრობის შედგენა, რომელიც მიზნად ისახავს აღადგინოს რუსეთის ყოფა ცხოვრების ნორმალური პირობები.

პაშონი აღნიშნავს მოკავშირეებთან პირდაპირ დამოკიდებულების აღდგენას და სთხოვს მიიღოს ფული საფრანგეთის ელჩის საშუალებით, აღუთქვამს რა საფრანგეთის მთავრობის დახმარებას მომავალშიაც. პაშონი შემდეგ აღნიშნავს, რომ ანტანტა ვერ დაიკისრებს უფლების აწარმოოს ერ-ჩევა პოლიტიკურ ჯგუფებს შორის, რომელნიც ერთმანეთს ებრძვიან და დაეხმაროს ერთი მეორეს წინააღმდეგ. „ვლადივოსტოკის და ორენბურგსკის ამბებმა გამოიწვიეს მოკავშირეების იმედის დაკარგვა და სკეპტიციზმი, მაგრამ, როგორც კი თქვენ დამტკიცებთ, რომ თქვენ ხელში რეალური ძალაუფლება და რომ თქვენ გარშემო იკრიბებიან ძალები, ეს მოახდენს ევროპაში უდიდეს შთაბეჭდილებას“. შემდეგ პაშონის დეპეშაში ნათქვამია, რომ ევროპა ვერ სთვლის შესაძლებლად უჩრედილად გაუთანაბროს კომიტეტს, რომლადანაც გამორიცხული არის ორი სოციალისტური პარტია, რაც არყევს თვით ლეგალობის პრინციპს. (250 წევრი შეადგენს მეტად

ვიწრო ლეგალურ ბაზას, რის გამო (გამოტოვებულია) რევეტრიბუნალი გადადის შემდეგ ბრალდებულების განმარტებებზე სამართის პერიოდის შესახებ. პირველად განმარტების იძლევა ბრალდებული რაკოვი, რომელიც ამბობს, რომ ვოლგას ფრონტი შეიქმნა სტიქიურად ვოლგას მუშების და გლეხების მიერ ორი შეთქმულ ესერების ერთ ჰეტმანჯგუფას მიერ, როგორც აქ შეიცალეს დოკუმენტებით. აჯანყებაში დამნაშავეთ საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც ატარებდა მუშათა და გლეხთა ინტერესებისათვის მავნე პოლიტიკას. რაკოვი ამტკიცებს აკრეთვე, რომ საბჭოთა ხელისუფლება დამნაშავეა ჩეხოსლოვაკიის ლეგიონების გამოსვლებშიაც. შემდეგ ბრალდებული ასაბუთებს იმ კეთილდღეობას და თავისუფლებას, რომლითაც სარგებლობდენ „კომუჩის“ „ტერიტორიის“ მცხოვრებნი.

პიატაკოვის შეკითხვაზე, რომ ახსოვთ თუ არა მას, გამოდიოდა თუ არა ი ბოლშევიკური გაზეთები, ბრალდებული უპასუხებს, რომ ლეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციები იქ არ იყო ეხებოდა კომუჩის მოღვაწეობას „ეკონომიურ სფეროში“ რაკოვი ამბობს, რომ ესერები იყვნენ წინააღმდეგნი წარმოების ხელისოსმბრი ნაციონალიზაციისა. რაკოვი გადაჭრით უარყოფს ბრალდებას იმაში, რომ ესერები სცდილობდენ სამარაგო მემამულეების აღდგენას. პიატაკოვი აქვეყნებს ამ დროს კომუჩის ბრძანებიდან ზოგიერთ ადგილებს ამ საკითხის შესახებ, რომელშიაც ნათქვამია, რომ 1918 და 1918 წლის ანეულ ნათესების მფლობელ მათგანი მიეკუთვნება კოოპერაციას? ცხადია მისი შემოსავალი უნდა იყოს ან მოგება, ან რენტა, ან ხელფასი.

ასეთ კითხვას სამართლიანად უპასუხებს პროფ. ძ. ტუგან-ბარანოვსკი, ერთ თავის ვრცელ სტატიაში და აღნიშნავს, რომ კოოპერაციის შემოსავალი არ შეიძლება მიეკუთვნოს არც ერთ ფორმაზე ზემოდ აღნიშნულ შემოსავლისა, რადგან სენენებული სამი ფორმა შემოსავლის დამახასიათებელია ტიპიური კაპიტალისტური მეურნეობისათვის და რომელნათაც კოოპერაციაა არ წარმოადგენს ასეთ მეურნეობას, იმდენად მისი შემოსავალი არ შეიძლება მიეკუთვნოს აღნიშნულ შემოსავლის რომელიმე ფორმას.

ამ რიგად, კოოპერაცია, რომელიც აღმოცენდა კაპიტალისტურ მეურნეობაში, არსებითად განსხვავდება ამ მეურნეობისაგან. კოოპერაცია არა მარტო ეკონომიურად წარმატების გზაზედ აყენებს მშრომელ მასას, არამედ იგი აღვიძებს თვითმოქმედებას, აჩვენებს კოლექტიურ მეურნეობის ხელმძღვანელობას, ანვითარებს სოლიდარულ მიზნებს ფებათ და სხ. ამიტომ, როგორც პროფესიული კავშირები შეიძლება ჩავთვალოთ სოციალიზმის სკოლად, მით უფრო დიდი უფლებით შეგვიძლია კოოპერაცია ჩავთვალოთ სოციალიზმის სკოლად.

კოოპერაციის მოქმედების სფერო ფართოა (თუ-ცა აქვს რა თავ[illegible] უნდა ამ მოქმედებას თავისი საზღვრები) ძრავალ სფეროში მეურნეობისა, შეუძლიელია კოოპერაციის გამოყენება ამის მიხედვით ახდენენ კოოპერაციის კლასიფიკაციას. კოოპერაციის კლასიფიკაცია სხვა და სხვა გვაქვია, მაგრამ ჩვენ აზრით უფრო მისაღებია კოოპერაციის დანაწილება შემდეგ ტიპებად:

1) საკრედიტო კოოპერაცია, 2) მომხმარებელი კოოპერაცია, 3) სახელმწიფ[illegible] ბინების მშენებელი კოოპერაცია, 4) შემსყიდველი კოოპერაცია, 5) გამსაღებელი კოოპერაცია, 6) ხელოვნ[illegible] ლის გადამამუშავებელი კოოპერაცია, [illegible] დამხმარებელი—მწარმოებელი კოოპერაცია. 8) [illegible] 9) [illegible] ბელი ამხანაგობანი.

საკრედიტო კოოპერაციის საძირკველ[illegible]—გერმანელი შულტ დელიჩი. და [illegible] ფეიზენი მამამთავარნია საკრედიტ[illegible] კოოპერაციის. პირველ ქალაქის ხელ[illegible]

გარდამავალი პერიოდი და კოოპერაცია

მუშათა პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაციების მნიშვნელობა

კოოპერაციის მნიშვნელობისა და როლის შესახებ სხვა და სხვა მხედველობაა შემუშავებული. ზოგის აზრით კოოპერაცია გადაჭრის ძირეულად სოციალურ პრობლემას და გაანხორციელებს სასურველ სოციალ ფორმაციას. ზოგს კოოპერაციის როლი მეტად განსაზღვრულად აქვს მიჩნეული.

როგორც კოოპერაციის მნიშვნელობის, ისე კოოპერატიულ ორგანიზაციათა კლასიფიკაციის შესახებ მრავალი სხვა და სხვაობა არსებობს ეკონომიურთა შორის.

ჩვენთვის, როდესაც კოოპერაციის მნიშვნელობას ვარკვევთ გარდამავალ პერიოდში; უმთავრესი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციის როლის შეფასებას კაპიტალისტურ მეურნეობის მიმართ და ამიტომ, სანამ ფართოდ დავსვამდეთ კითხვას კოოპერაციის როლის შესახებ, საჭიროა გამოვარკვიოთ მისი ბუნება და ის შინაარსი, რომლითაც იგი წარმოდგენილია ღღეს როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში.

კაპიტალისტური მეურნეობის მიზანს შეადგენს რაც შეიძლება მეტი მოგების მიღება დახარჯულ კაპიტალზე. ეს არის უმთავრესი თვისება კაპიტალისტური მეურნეობის და აქედან შეიძლება მისი დამახასიათებელი ნიშნების გამოყვანა. კოოპერაცია მით განსხვავდება კაპიტალისტური მეურნეობის ფორმისაგან, რომ მის მიზანს არ შეადგენს რაც შეიძლება მეტი მოგების ძებნა დახარჯულ კაპიტალზე. კოოპერაცია ცდილობს გაადიდოს ან შრომითი შემოსავალი მუშის, ან და შეამციროს მისახმარ საგანთა ხარჯი მომხმარებლის.

ამას გარდა. კაპიტალისტურ საზოგადოებაში შეიძლება არსებობდეს რამე მეურნეობა, მუნიციპალური, სახელმწიფო, რომელიც მოგებას არ ისახავდეს მიზნათ, მაგრამ იგი კოოპერაცია არ არის, რადგან კოოპერაცია თავისუფლად შეკავშირებულ წევრთა ორგანიზაციაა, ხოლო მუნიციპალური მეურნეობა—იძულებითია.

ამიტომ შესაძლებელია კოოპერაციას მივცეთ შემდეგი განმარტება: კოოპერაცია წარმოადგენს თავისუფლად შეკავშირებულ პირთა სამეურნეო საქმიანობას, რომლის მიზანია ან შრომითი შემოსავლის გადიდება და ან მოსახმარ საგნებზე ხარჯის შემცირება.

კოოპერაციაში ზოგი კაპიტალისტური მეურნეობის ერთ ფორმათაგანს ხედავს, რადგან მასში ადგილი აქვს დაქირავებულ შრომას, და მაშასადამე ადგილი აქვს მუშის ექსპლოატაციას, მის ზედმეტი შრომით შექმნილი ღირებულების მითვისებას. პირველი შეხედვით ეს თითქის მართალია, მაგრამ ეს არსებითად კი უმართებულო და უსწორია.

დაქირავებული შრომის მოსპობის შესახებ სოციალისტური პარტიები დიდ ხმაურს ეტეხთ ხოლმე. ეს ბუნებრივია, რადგან კაპიტალისტურ მეურნეობაში უდიდესი ნაწილი დაქირავებული შრომის მიერ შექმნილ ღირებულებისა ხმარდება კაპიტალისტს და მის მფლობელობაში გადადის. მართალია, კაპიტალიზმმა ვითომც გ ანთავისუფლა მუშა და თუ იგი ფეოდალიზმის დროს მიკრული იყო მიწაზე და მოვალე იყო რამდენიმე დღე მუქთად ემუშავა მებატონისათვის, ეხლა მუშა თავისუფალია უფლებრივად, მაგრამ ამით არსებითად საქმის ვითარება არ იცვლება. მართალია კაპიტალიზმმა მუშა გაანთავისუფლა უფლებრივად, მაგრამ იგი გაანთავისუფლა ქონებისაგანაც. ეს სოციალური უთანასწორობა ქვაკუთხედათ იქცა დამქირავებელთა და დაქირავებულთა ურთიერთობის. მუშა კვლავ იძულებულია ეკუთვნოდეს „ახალ მებატონეს“ და მისი მსახური იყოს. მართალი იყო კარლოს მარქსი, როდესაც ამბობდა, რომ ეხლა მუშა ეკუთვნის არა რომელიმე კაპიტალისტს, რომლისაგანაც მას უფლება აქვს წავიდეს, სხვს მიქირავდეს, არამედ იგი (მუშა) ეკუთვნის მთელ კლასს კაპიტალისტებისასო.

თუ ისეთივე ურთიერთობაა მუშასა და კოოპერაციას შორის, როგორი ურთიერთობაც არსებობს მუშასა და კაპიტალისტს შორის, რა თქმა უნდა მაშინ კოოპერაცია უნდა განვიხილოთ, როგორც ერთი სახეობა კაპიტალისტური მეურნეობის ფორმისა, მაგრამ როგორია მუშის მდგომარეობა კოოპერაციაში? მუშის პირობები კოოპერაციაში არსებითად განსხვავდება მუშის ჩვეულებრივი პირობებისაგან კაპიტალისტურ მეურნეობაში.

თუ კაპიტალისტურ მეურნეობაში მუშის სულიერ-ფიზიკურ მოთხოვნილებას არ უწევენ ანგარიშს და მუშის ხელფასი მყარდება ერთი მხრით შრომის ნაყოფიერებითა და მეორე მხრით მუშათა კლასის სოციალური ძალის ზეგავლენით, კოოპერაციაში კი მუშა იგივე წევრია საზოგადოების და მაშასადამე საზოგადოება მზრუნველობს თავის წევრებისათვის, მისი ხელფასი მაქსიმალურ დონეზედ აყენებს და შრომას აყენებს ჰიგიენურ და სანიტარულ პირობებში. ეს გარემოება საფუძვლით გამართლებულია კოოპერაციის პრაქტიკიდან და კოოპერატივებში მომუშავენი ყოველთვის უკეთეს პირობებში არიან, ვიდრე კაპიტალისტურ მეურნეობაში მომუშავენი.

რამდენადაც კოოპერაციაში დაინტერესებულია მისივე წევრის, მუშის მდგომარეობის გაუმჯობესებაში, იმდენათვე მუშაც უშუალოდ დაინტერესებულია კოოპერაციის ზრდითა და განვითარებით, რადგან ამით გადიდდება მისი შრომითი შემოსავალიან და შემცირდება მოსახმარ საგანთა ხარჯი.

რა თქმა უნდა კოოპერაციაში, დაქირავებული მუშა არ ღებულობს თავისი შექმნული ღირებულების სრულ ეკვივალენტს, მაგრამ არ უნდა დავიწყოთ, რომ თვით სოციალისტური მეურნეობაც არ გულისხმობს, რომ მუშა მიიღებს მის მიერ შექმნილ ღირებულების სრულ ეკვივალენტს ძუძის მიერ შექმნილ ღირებ. უნდა გამოკლებულ იქნეს ერთი მხრით წარმოების ხარჯები და მეორე მხრით საზოგადო კავშირთა შესანახი ხარჯები და მაშასადამე მუშა სოციალიტურ საზოგადოებაშიც ვერ მიითვისებს სრულებით მისი შრომის პროდუქტს. მიუხედავათ ამისა, მუშის მდგომარეობა სოციალიზმის დროს რადიკალურად სხვა პირობებში იქნება, ვიდრე იგი არის ამსებული კაპიტალისტური მეურნეობის დროს. ღღეს მუშის მიერ შექმნილი ღირებულებიდან გამორიცხულია. მუშის ხელფასი და დანარჩენი კაპიტალისტისა და ვაჭართა ხელში გადადის, ხოლო მაშინ, სოციალისტური მეურნეობის დროს, მუშის შექმნილ ღირებულებიდან გამორიცხული იქნება მხოლოდ წარმოებისა და საზოგადო კავშირთა შესანახი ხარჯი, რაც ბოლოა და ბოლოს ისევ მუშას კეთილდღეობას ხმარდება.

ასე, რომ სრული მითვისება მუშის მიერ შექმნილი ღირებულებისა არც სოციალისტურ წყობილებაშია შესაძლებელი, ამას ხხოლოდ ანარქისტული იდეალი ჰგულისხმობს, და მაშასადამე ასეთი პრეტენზიით არ შეიძლება კოოპერაციას მიუდგეთ.

მთელი მნიშვნელობა კოოპერაციისა და მისი სოციალისტური ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ აქ კაპიტალი კი ამ ბატონობს შრომაზე, ანაიელ შრომა ბატონობს კაპიტალზე. სოციალისტურ საზოგადოებაშიც კაპიტალი არ მოისპობა (კაპიტალი როგორც ლოდაური კეთილგორია) ხოლო მასზე გაბატონდება შრომა და ამას ეწოდება „შრომის სუფევა“.

მაგრამ კიდევ არსებობს ერთი მთავარი დებულება, რომელიც შეიძლება წამოყენებული იქნეს კოოპერაციის არა კაპიტალისტური ხასიათის წინააღმდეგ.

როგორც ვიცით არსებობს სამი ფორმა საზოგადოებრივი შემოსავლის—მოგება, **რენტა** ან **ხელფასი**. საკითხი ისმის—ო

[illegible]

მელი მათგანი მიეკუთვნება კოოპერაციას? ცხადია მისი შემოსავალი უნდა იყოს ან მოგება, ან რენტა, ან ხელფასი.

ასეთ კითხვას სამართლიანად უპასუხებს პროფ. ძ. ტუგან-ბარანოვსკი, ერთ თავის ვრცელ სტატიაში და აღნიშნავს, რომ კოოპერაციის შემოსავალი არ შეიძლება მიეკუთვნოს არც ერთ ფორმაზე ზემოდ აღნიშნულ შემოსავლისა, რადგან სენენებული სამი ფორმა შემოსავლის დამახასიათებელია ტიპიური კაპიტალისტური მეურნეობისათვის და რომელნათაც კოოპერაციაა არ წარმოადგენს ასეთ მეურნეობას, იმდენათ მისი შემოსავალი არ შეიძლება მიეკუთვნოს აღნიშნულ შემოსავლის რომელიმე ფორმას.

ამ რიგად, კოოპერაცია, რომელიც აღმოცენდა კაპიტალისტურ მეურნეობაში, არსებითად განსხვავდება ამ მეურნეობისაგან. კოოპერაცია არა მარტო ეკონომიურად წარმატების გზაზედ აყენებს მშრომელ მასას, არამედ იგი აღვიძებს თვითმოქმედებას, აჩვენებს კოლექტიურ მეურნეობის ხელმძღვანელობას, ანვითარებს სოლიდარულ მიზნებ[illegible] ფებათ და სხ. ამიტომ, როგორც პროფესიული კავშირები შეიძლება ჩავთვალოთ სოციალიზმის სკოლად, მით უფრ[illegible]

კოვი ათავებს თავის ჩვენებას, გახმარტებათ, რომ ბურჟუაზია მტრულად იყო განწყობილი კომუნისტებისადმი და არავითარ ფინანსიურ დახმარებას მას არ უწევდა.

ბრალდებული გენდელმანი თავის ჩვენებაში ეხება კომუნისტის დამოკიდებულებას ჩეხოსლოვაკეთან და ამბობს, რომ მხოლოდ არახელსაყრელად შექმნილ მდგომარეობის გამო ისინი გახდენ შავრაზმულ რეაქციის იარაღად გლეხების ჩეხოსლოვაკიისადმი ცუდ განწყობილებისა. გენდელმანი ხსნის გაუკეთრობით. გლეხები თავს ესხმოდენ ჩეხელებს, რომელთაც ძალაუნებურად უხდებოდათ თავი დაეცვათ ასეთ თავდასხმისაგან.

ხელისუფლების თავდასხმას (დამახასიათებელია). გენდელმანი ხსნის იმით, რომ ხალხის მასებს ეყოთ ადგილი ბა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას ჩამოგდებისათვის. გენდელმანი აცხადებს, რომ ესეთებმა შესწყვიტეს შეიარაღებული ბრძოლა მასების დაქსაქსვისა და დაჩანცულობის გამო, მაგრამ რომ მათ ეფიქრათ, რომ მუშათა მასები მიემხრობოდენ აჯანყებას, ისინი არ დაიხევდენ უკან ხელახლა დაიწყოთ ბრძოლა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

ეხება რა მოკავშირეებთან დამოკიდებულებას, გენდელმანი აცხადებს, რომ კომუნი სთვლიდა თავს თავს ხელისუფლებად და როგორც ასეთმა დაჭერა ურთიერთობა მოკავშირეებთან. გენდელმანი ამაში არაფერს ცუდს ვერ ხედავს. ბრალდებული არ ფარყოფს, რომ სამანარქიის წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლების მთავრობის მოწინააღმდეგეებმა ჰაარეს ყოველგვარი გაგლენა. ძველი პარტიები იწვევენ საერთო ზიზღ.

ჰაგის კონფერენცია

კერძო საკუთრება

რომი 1 ივლისი. გაიმართა ხალხთა კერძო საკუთრების ქვეკომისიის. ხალხთაზე მოლაპარაკებულია წინადადება, რომლის თანახმად უნდა იქნეს გამორკვეული რუსეთის მდგომარეობა კერძო საკუთრების საკითხში.

ლიტვინოვის განცხადება.

ლიონი. 1 ივლისი. კერძო საკუთრების კომისიაში ლიტვინოვმა დამოკვეყნა პირობები, რომელშიაც საბჭოთა მთავრობა, თანახმაა აწარმოვოს მოლაპარაკება კერძო საკუთრების შესახებ.

ვალების ქვეკომისიის ხხდომაზე

ლიტვინოვის პოზიციას მხარი დაუჭერა ინგლისის წარმომადგენელმა იუნგმა, რომელმაც სთქვა: „ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გვსურს გენუას კონფერენციას ვეფიდი აუხვიოთ და დავარღვიოთ მისი დადგენილებანი. მე სავსებით ვეთანხმები ლიტვინოვს, რომ ჰაგის კონფერენციის მუშაობა უნდა დაიწყოს იმით, რითაც დამთავრდა გენუის კონფერენციის პრაქტიკული მუშაობა. ჰაგა პრაქტიკულად არის გენუის გაგრძელება.

ამერიკელ მუშათა შორის

მოსკოვი 2 ივლისი. პრეზიდენტ ჰარდინგმა მიმართა მოლაპარაკებას მეპატრონეთ და გაფიცულ მუშებს წინადადებით მოლაპარაკებას ბელგოგორეთ მართვის შესახებ. გამოგვლენილა, რომ პრეზიდენტ[illegible] ეძიებს იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელი გახდა.

მეორე ინტერნაციონალის კონფერენცია

ლონდონი. 21 ივნისი. მეორე ინ-ლის ლონდონის კონფერენციის მეორე სხდომაზე ბელგიის დელეგატმა ვოტერსმა შეიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „კონფერენცია წინადადებას აძლევს ვენის ინტერნაციონალს დაგხმაროს მეორე ინ-ლს წლის დამლევამდე საერთო სოციალისტური მუშათა პარტიების კონფერენციის მოწვევის საქმეში, მაგრამ მასთანვე აცნობებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს შეუძლებელი იქნება ვენის ინ-ლისათვის, მაშინ მეორე ინ-ლი თვითონ მოიწვევს აღნიშნულ კონფერენციას. მთავარი ამოცანა ამ კონფერენციისა იქნება განხილვა საკითხისა საერთო ინტერნაციონალის აღდგენის საშუალებების შესახებ და გაერთიანება სოციალისტური მუშათა პარტიებისა ევროპის მდგომარეობის პოლიტიკურსა და ეკონომიურს საკითხში". შემდეგ კონფერენცია თავის რეზოლიუციაში ესალმება ამსტერდამის გაერთიანებულ პროფკავშირებს და ულოცავს მათ კომუნისტებთან კონფლიქტში მათთვის წარმატებით გამოსვლას. კონფერენცია აღუთქვამს ომისა და აგრესიული პოლიტიკის საწინააღმდეგო დემონსტრაციის მხარის დაჭერას, რომელსაც ამზადებს ამსტერდამის ინ-ლი. ეს რეზოლიუციაა მიღებულ იქნა ერთხმად.

ლიფიდდი. 21 ივნისი. მეორე ინ-ლის კონფერენციამ ლონდონში მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ამბობს, 1) რომ მესამე ინ-ლის მოქმედებას ბერლინის თვეში ბერლინში მომხდარ კონფერენციის შემდეგ შეაქვს განხეთქილება საერთაშორისო პროფკავშირების მოძრაობაში. ერთ და იმავე დროს ებრძვის სოციალისტურ ინტერნაციონალსა და მასთანვე შეაქვს რა წინადადება გაერთიანებულ ფრონტის შესახებ, ამით კომუნისტური ინ-ლი მხოლოდ თავის ფარულ მიზნებს ემსახურება—2) მეთოდები, რომელსაც მიმართავს პოლიტიკური პროცესის დროს მოსკოვში, წარმოადგენენ პირდაპირ დარღვევას იმ დაპირებებისა, რომელიც მოცემული იყო ბერლინის კონფერენციაზ; 3) მესამე ინტერნაციონალის მიერ უარის თქმა თანახმად თავის შეპირებისა,—გადაიცა დოკუმენტები საქართველოს შესახებ წარმომადგენელთა კომისიისათვის არის დამამტკიცებელი იმისა, რომ რუსეთის მთავრობას არ აქვს განზრახვა თავი დაახვიოს მილიტარისტულ იმპერიალიზმის პოლიტიკას. კონფერენცია მიდის იმ დასკვნამდე, რომ ასეთს პირობებში ცდა შეთანხმების მესამე ინ-ლთან უშედეგოდ დარჩება.

პუანკარეს განცხადება.

ნაუენი. 1 ივლისი. გერმანიის კონტრიბუციის შესახებ, პუანკარემ განაცხადა სენატში, რომ გერმანიის უბედურება—მხოლოდ შირმაა, რომლის უკან იმალება ყველაფერი წარმოება, ვაჭრობა და ფუფუნება. საფრანგეთს არ სურს გამოიყოს მოკავშირეებს, მაგრამ ამავე დროს არც ის სურს, რომ უარყოს უფლება რომელსაც ანიჭებს მას ვერსალის ხელშეკრულება.

მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარების ევაკუაცია.

რომი. 1 ივლისი. საკავშირო ჯარების ევაკუაცია ზემო სილეზიიდან გრძელდება. გუშინ გავიდენ იტალიის ჯარები

თათბირი ლონდონში.

ნაუენი. 1 ივლისი. ლოიდ-ჯორჯის, ბალფურის და შანცერის თათბირზე ლონდონში გამოირკვა დიდი დაბრკოლებანი პალესტინის, ტრიპოლიის და სხვ. საკითხის განხილვის დროს.

ცეცხლით და მახვილით.

ნაუენი. 1 ივლისი. დუბლინში მოხდა აფეთქება ფურ-კორტესა. ზენობა იწვის.

ნაუენი, 1 ივლისი. ფურ-კორტეში მომხდარ აფეთქების დროს გადმოცვივდა მრავალი სხვადასხვა დოკუმენტები. აფეთქება გამოწვეულია ნაღმით: ჩადებული იყო აჯანყებულების მიერ შენობის იმ ნაწილში, რომელიც დაკავებული ქონდათ მთავრობის ჯარებს. მოკლულია 30 კაცი, ბევრი დაიჭრა. თემთა პალატაში მოელიან, რომ აჯანყებულნი აღმართავენ თეთრ დროშას. ჩერჩილმა განაცხადა, რომ ოპერაციები მთავრობის ჯარების მხრივ დღემდე დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ნაუენი, 1 ივლისი. პარასკევს მთავრობის ჯარებმა დუბლინში დაიკავეს რესპუბლიკანური შენობათა ნაწილი, რომელიც იყო აჯანყებულების ხელში და ხელში ჩაიდგეს მრავალი ტყვე. მი

საბჭოთა ფედერაციაში

კავკავი 1 ივლისი. საჩჩენეთში დაიწყო სასურსათო გადასახადის კამპანია, მთელი ოლქის მასშტაბში მთავრდება აღრიცხვა გადასახადის გაწერის ობიექტებისა. მეხოვრებთ დაურიგდათ სოფლის სიები კვერცხ-ერბოს გადასახადის შესაკრებად. გადას-ხადების აკრეფა გრ[illegible]ნის რაიონში დაიწყო აღრიცხვის დროს ინკვიზა ხნულების და ოთხფეხა საქონლის მასიური დაფარვა.

— ქერის მოსავალი ინგუშეთში დამაკმაყოფილებელია, ხორბალი როგორც თვისების ისე რაოდენობის მხრივ არაჩვეულებრივია. ხორბლის ჯეჯილი ადამიანის სიმაღლეზეა თავთავი მსხვილია და კარგად გავსილი. მოსალოდნელია ერთი დესეტინიდან მიიღონ 200 250 ფუთი ხორბალი.

— ივნისის თვის დასაწყისში შეიარაღებულ მცხოვრებთა რაზმი 500 კაცისაგან შემდგარი გადავიდა სოფ. ბენოიდან საჩჩენეთის ოლქში, და ასევეთვე რაზმი გამოვიდა სოფ. დარბიელდან, მოპირდაპირე რაზმებს შორის ის იყო უნდა დაწყებულიყო შეტაკება, რომ პატივცემული მოხუცები და მამასახლისები ორივე მხრიდან ჩადგნენ შეიარაღებულთა შორის და აიცილეს თავიდან სისხლის ღვრა. გამოსვლის მიზეზი არის მტრობა მიწათ მფლობელობის და გაუგებრობის ნიადაგზე. მოპირდაპირეებმა გაგზავნეს წარმომადგენელნი ვედენის ციხეში. რაიონულ რევკომის მიერ მიღებულია ზომები კონფლიქტის ლიკვიდაციისათვის, დავა მიწების შესახებ ბენოელებსა და დარბიელებს შორის სწარმოებს მეუბობის დროიდან.

პროფმოძრაობა

ტრანსპორტის მომუშავეთა კავშირის მეორე ყრილობა გაიხსნა ივლისის 2. ყრილობა გახსნა მთავარ გამგეობის მდივანმა ამხ. ხოჯაევმა. შემდეგ აირჩიეს ყრილობის პრეზიდიუმი შემდეგი პირებისაგან: სერედა, ხოჯაევი, ჩისტიაკოვი, იმნაძე, ჩოჩუა, კლდიაშვილი და ანასტასიადი. შემდეგ ყრილობას მიესალმნენ: საქართ. პროფკავშირთა საბჭოს სახელით ამხ. ოდილავაძე, საქ. კომისარიატის სახელით ამხან. ივანოვ-კავკასკი და სხვ. სამანდატო კომისიაში აირჩიეს ამხ. კაზაჩენკო, გეგენავა და კარპოვი. ყრილობის საპატიო წევრებად აირჩიეს: ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, ლოზოვსკი, ტომსკი, სოდოვსკი, მახარაძე, ქავთარაძე. მისასალმებელი დეპეშების გაგზავნა დაადგინეს: საქ. პროფკავშირთა საბჭოს, საქ. ცენტრალიმასკომს, საქართ. სახალხო კომისართა საბჭოს, ტრანსპორტის მომუშავეთა სრ. რუს. კავშირის ცენტკომიტეტს, სრ. რუს. პროფკავშირთა საბჭოს, წითელ პროფინტერნს და კომინტერნს. ყრილობის გახსნაზე უკრავდა ორკესტრი. დღის წესრიგშია: საერთაშორისო მდგომარეობა, მთავარ გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენებანი, მოხსენებანი ადგილებიდან, ანგარიში ტრანსპორტის მთავარ სამმართველოსი, საორგანიზაციო საკითხები, სატარიფო საკითხი, შრომის დაცვა და მუშათა დაზღვევა, კულტურული მუშაობა, დამშეულთა დახმარება, უმუშევრობა, მთავარ-გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები, არჩევნები დელეგატებისა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა მეხუთე ყრილობაზე, სრულ. რუს. ტრანსპორტის მომუშავეთა ყრილობაზე და საქ. პროფკავშირთა საბჭოს პლენუმისათვის.

პარტიაში

მბეჭდავ მუშების კრება, რომელიც არ შესდგა 3 ივლისს, დანიშნულია დღეს, 4 ივლისს, საღამოს 7 საათზე პარტიის მთავარ ბიუროში. ამხანაგები უკლებლივ და აუცილებლად უნდა დაესწრნენ, ვინაიდან გასარჩევია ფრიად მნიშვნელოვანი და სასწრაფო საკითხები.

—

— არჩილ ჯორჯაძის სუბბოტნიკი. დამზადებულია ჯულზე სატარებლად ემბლის სურათები არჩილ ჯორჯაძისა, რომლის მიღება შეიძლება პარტიის მთავარ ბიუროს ბინაზე საქალაქო კომიტეტის მდივანთან და გაზ. „ტრიბუნას" რედაქციაში.

უცხოეთი

შორეულ აღმოსავლეთში.

მოსკოვი. 2 ივლისი. ჩიტიდან 29 ივნისის თარიღით იტყობინებიან: მთელი იაპონური პრესა ესალმება მთავრობის გადაწყვეტილებას ხეთის ნაპირის ევაკუაციის შესახებ. საგაჭრო-სამრეწველო წრეები წინადადებას იძლევიან გამართონ მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან საგაჭრო-სამრეწველო ურთიერთობის აღსადგენათ. იაპონური გაზეთები ფიქრობენ, რომ დიდი სახელმწიფონი არ იქნებიან წინააღმდეგნი რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკებისა. რომელნიც შეეხებიან იმ პოლიტიკურ საკითხებს, რომლის შესახებაც ჰაგაში მსჯელობა არ იქნება. იაპონური გაზეთების აზრით, მთავრობა დასტოვებს ვლადივოსტოკში სამხედრო გემებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იაპონელთა ინტერესები.

— სოციალისტების მიერ ტოკიოში მოწვეული პროტესტის მიტინგი, იაპონიის რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევის საწინააღმდეგოთ გაფრთხილ იქნა პოლიციის მიერ, რომელმაც მრავალი პირი დააპატიმრა.

ვერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგ

მოსკოვი. 2 ივლისი. ლონდონში მუშათა პარტიის კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია ვერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგ და რომელშიაც ისინი მოითხოვენ გერმანიის ოკუპაციის შეწყვეტას. რეზოლიუცია მოითხოვს საბჭოთა მთავრობის დაუყოვნებლივ ცნობას და ანგარეთვე იაპონიის მიერ ციმბირიდან ჯარების გაყვანას.

ამერიკელ მუშათა შორის

მოსკოვი 2 ივლისი. პრეზიდენტ ჰარდინგმა მიმართა მოლაპარაკებას მეპატრონეთ და გაფიცულ მუშებს წინადადებით მოლაპარაკებას ბელგოგორეთ მართვის შესახებ. გამოგვლენილა, რომ პრეზიდენტ[illegible] ეძიებს იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელი გახდა.

მეორე ინტერნაციონალის კონფერენცია

ლონდონი. 21 ივნისი. მეორე ინ-ლის ლონდონის კონფერენციის მეორე სხდომაზე ბელგიის დელეგატმა ვოტერსმა შეიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „კონფერენცია წინადადებას აძლევს ვენის ინტერნაციონალს დაგხმაროს მეორე ინ-ლს წლის დამლევამდე საერთო სოციალისტური მუშათა პარტიების კონფერენციის მოწვევის საქმეში, მაგრამ მასთანვე აცნობებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს შეუძლებელი იქნება ვენის ინ-ლისათვის, მაშინ მეორე ინ-ლი თვითონ მოიწვევს აღნიშნულ კონფერენციას. მთავარი ამოცანა ამ კონფერენციისა იქნება განხილვა საკითხისა საერთო ინტერნაციონალის აღდგენის საშუალებების შესახებ და გაერთიანება სოციალისტური მუშათა პარტიებისა ევროპის მდგომარეობის პოლიტიკურსა და ეკონომიურს საკითხში". შემდეგ კონფერენცია თავის რეზოლიუციაში ესალმება ამსტერდამის გაერთიანებულ პროფკავშირებს და ულოცავს მათ კომუნისტებთან კონფლიქტში მათთვის წარმატებით გამოსვლას. კონფერენცია აღუთქვამს ომისა და აგრესიული პოლიტიკის საწინააღმდეგო დემონსტრაციის მხარის დაჭერას, რომელსაც ამზადებს ამსტერდამის ინ-ლი. ეს რეზოლიუციაა მიღებულ იქნა ერთხმად.

ლიფიდდი. 21 ივნისი. მეორე ინ-ლის კონფერენციამ ლონდონში მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ამბობს, 1) რომ მესამე ინ-ლის მოქმედებას ბერლინის თვეში ბერლინში მომხდარ კონფერენციის შემდეგ შეაქვს განხეთქილება საერთაშორისო პროფკავშირების მოძრაობაში. ერთ და იმავე დროს ებრძვის სოციალისტურ ინტერნაციონალსა და მასთანვე შეაქვს რა წინადადება გაერთიანებულ ფრონტის შესახებ, ამით კომუნისტური ინ-ლი მხოლოდ თავის ფარულ მიზნებს ემსახურება—2) მეთოდები, რომელსაც მიმართავს პოლიტიკური პროცესის დროს მოსკოვში, წარმოადგენენ პირდაპირ დარღვევას იმ დაპირებებისა, რომელიც მოცემული იყო ბერლინის კონფერენციაზ; 3) მესამე ინტერნაციონალის მიერ უარის თქმა თანახმად თავის შეპირებისა,—გადაეცა დოკუმენტები საქართველოს შესახებ წარმომადგენელთა კომისიისათვის არის დამამტკიცებელი იმისა, რომ რუსეთის მთავრობას არ აქვს განზრახვა თავი დაახვიოს მილიტარისტულ იმპერიალიზმის პოლიტიკას. კონფერენცია მიდის იმ დასკვნამდე, რომ ასეთს პირობებში ცდა შეთანხმების მესამე ინ-ლთან უშედეგოდ დარჩება.

ბუენოს-აირეს

ბუენოს-აირეს. 1 ივლისი. ბუენოს-აირეს ბანკებმა ბუენოს-აირეს ბანკებმა ბუენოს-აირეს ბანკებმა

მოსვლა ლიმერიკ-ბირეზე, რომელიც აერთებს კორკს კონტინენტთან შეწყვეტილია.

რუმინია და ბოლგარია.

ბუქარეშტი, 1 ივლისი. რუმინიასა და ბოლგარიას შორის დაიდვა სარკინიგზო შეთანხმება ბერლინის კონფერენციის საფუძვლებზე.

რკინის გზელების გაფიცვა.

ნიუიორკი, 1 ივლისი ჩიკაგოდან იტყობინებიან, რომ 400,000 ამერიკელი რკინის გზელი 1 ივლისიდან გამოცხადებენ გაფიცვას.

ხასკოლო საქმე

მოსკოვი. 29 ივნისი. მოსკოვის საბჭოს პლენუმმა დაამტკიცა მომავალი წლის სასწავლო გეგმა, რომელიც უფასო სწავლების პრინციპზეა აგებული, მუშათა ბავშვების მიღებას სკოლებში ექნება უპირატესობა დანარჩენ მცხოვრებთ კატეგორიებთან.

ნიკიტინის სახელობის მუზეუმი

მოსკოვი. 29 ივნისი. რადგანაც ახლოვდება ნიკიტინის დაბადებიდან ასი წლის თავი, პოეტის სახლში, ვორონეჟში, ეწყობა მუზეუმი, რომელშიც შეკრებილია ყველა ის ნივთები, რომელიც დარჩა პოეტის გარდაცვალების შემდეგ.

ხაჰაერო კავშირი გერმანიასთან.

მოსკოვი. 22 ივნისი. შემუშავებული იქნა ინსტრუქცია მოსკოვსა და კენიგსბერგს შორის, რუსეთ-გერმანიის საზოგადოების მიერ მოწყობილ საჰაერო მიმოსვლის წესის შესახებ. ყველა გადაფრენა მოხდება რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ, კვირაში ორჯერ-სამჯერ, რუსეთის ტერიტორიაზე ერთხელ შესვენებით—ვიტებსკში. ჰაეროპლანებით გადაზიდული იქნება შემდეგი საქონელი: რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკების დიპლომატიური მიწერ-მოწერა, საფოსტო პაკეტები, რომელიც გადიგზავნა—გადმოიგზავნება რუსეთსა და გერმანიის შორის, ფოსტა, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის შორის და აგრეთვე იმ მგზავრების ბარგი, რომელნიც მიემგზავრებიან ჰაეროპლანით.

რუსეთი

პეტროგრადის საჰაერო ებისათვის

მოსკოვი. 25 ივნისი. ბერლინში პეტროგრადის საჰაეროებისათვის შეძენილია საალმშენებლო მასალა ათ ბილ. მარკის ღირებულებით. 5 მილ. მარკის ნაღები. საწარმოებს მოელაპარაკება ჰუგო სტინესთან დიდ სასტუმროების აშენების, გაცემის და ოტელ-სანატორიუმ-ტრანსპორტის და გზების ქარხნების აღდგენის შესახებ (კიევოსტ.)

საგზაფხულო თესვის კამპანიის შედეგები

მოსკოვი, 25 ივნისი. დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე ანგ. გალათოვმა გააკეთა მოხსენება საგაზაფხულო თესვის კამპანიის შედეგების შესახებ დამშეულ გუბერნიებში. მცხოვრებთათვის ახალი პურის მოსვლით მიმართულების გეგმა შესრულებულია წარმატებით. სულ შემოსულია, გაგზავნილია ადგილებზე და განაწილებულია მცხოვრებთა შორის 20112 ვაგონი რუსული თესლი ე. ი. გეგმის 110 პროც. საზღვარგარეთელი თესლი შემოვიდა 56 პროც. საერთოთ დამშეულ გუბერნიების მცხოვრებთა შორის განაწილებულია როგორც რუსული, ისე საზღვარგარეთელი თესლი გეგმის 90 პროც. რაოდენობით.

აზალი ამბები

— **კურორტთა სეზონის გახსნა.** გუშინ გავიდა ძოსამსახურეები ბოჟუბაკურიანის საკურორტო რაიონის, მუზეობის დასაწყებად. პირველი ტრანსპორტი ავადმყოფების—120 კაცი ბოჟომ-ბაკურიანის ცეცხში გაემგზავრება ტფილისიდან 5 ივლისს.

— **3 კვს დასახლება.** ტფ. აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით (წინადადება მიეცა სამეწარ-მრეწველო განყოფილებას გადაღოს ვაკეს გეგმა და შეიტანოს პროექტი ვაკეს დასახლების შესახებ. ადგილი—ნაჭერი დასახლებისათვის უნდა იყოს არა ნაკლები 80 კვ. საჟენისა.

— **აგურის ქარხნების აღდგენა.** ტფ. ქალაქის აღმასკომმა წინადადება მისცა საალმშენებლო ნაწილს, რომ წარადგინოს ბან ხელ ჯთ აღრ ცხვა აგურის ქარხნების აღდგენისა და ექსპლოატაციის შესახებ. ჯერ ჯერობით აღდგენილ უნდა იქნეს ორი ქარხანა ვაკეში და ერთი ნაძალადევში.

— **ნახაკლათ.** ქალაქის საქონლების სასაკლაო სანიტარულის ბრძანით დაიკეტა.

დაბულია ტფილისის ქალაქის კომუნალური მეურნეობის სანიტარული ქვეგანყოფილებისაგან.

— **თხოვნის დაკმაყოფილება.** ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა მიეცეს სამხედრო ავტომობილის მიერ მოკლულ ქალაქის ვეტერინალურ ექიმის ვ. ი. ლანგას ქვრივს ერთდროული დახმარების სახით 20 მილიონი მან.

— **სასკოლო შენობების დათვალიერება.** შესდგა სპეციალური კომისია კერძო მესაკუთრეთა შენობების დასათვალიერებლად; რომლებშიაც მოთავსებულია შრომის სკოლები, რომ გამოარკვიონ გადასახდელი ქირა შენობებისათვის.

— **ქალაქის ინვენტარი.** ქალაქის სტატისტიკურ განყოფილების გამგის ა. რუხაძის მოხსენებით, ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა შემოიღოს ქალაქის ინვენტარის წიგნი.

— **გადასახლების საკითხი.** კომუნალური მეურნეობის თავმჯდომარის ამხ. წოვნოვაძის მოხსენებით, ტფილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, გადასახლება მოქალაქეებისა ბინებიდან შეაჩეროს და მკაცრად დაცულ იქნეს დეკრეტი გამოცემული სახალხო კომისართა საბჭოსაგან ბინების შესახებ.

— **სახლების დემუნიციპალიზაცია.** ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმისაგან შედგენილია კომისია ბინების დემუნიციპალიზაციის შესახებ.

— **ქალაქის ლაბორატორია.** ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების რეზოლიუცია; გაანთავისუფლონ ქიმიკოსი გ. გ. ალიბეგოვი ავადმყოფობის გამო ქალაქის ლაბორატორიის გამგის თანამდებობიდან. მასთანვე მიღო ორ პრეზიდიუმმა ალიბეგოვის მეცნიერული ღვაწლი ხელმძღვანელობაში, აუცილებელ საჭიროდ დაინახა უზრუნველყოს იგი და მიეცეს მას სრული შესაძლებლობა გაგრძოს ლაბორატორიაში მეცნიერული მუშაობა.

— **ბინების საქმე.** ტფილისის ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა კერძო შემთხვევის გამო დაადასტურა გადაწყვეტილება არ გასცეს საბინაო განყოფილებამ ორდერი იმ სახლებზე, რომლებშიაც ათ ოთახზე ნაკლებია.

სამხედრო ქრონიკა

— **პავლე იხგოროყვას მოხსენება.** 4 ივლისს, სამშაბათს, საღამოს რვა საათზე, ახალი მწერლობის კავშირის სდომაზე, ხელოვნების სასახლეში (სერგიევის ქ. 13) პავლე ინგოროყვა წაიკითხავს მოხსენებას „რად ეწოდება ბოლთა რუსთაველს მანის სეფე დაკუპარი“. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება დამატებითი ცნობები ბოლთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან. დასწრება უფასოა—საგანგებო ბილეთებით.

— **გალაქტიონ ტაბიძის საღამო,** რომელიც უნდა შეძდგარიყო 25 ივნისს, შესდგება ოთხშაბათს 5 ივლისს. გაყიდული ბილეთები ძალაშია. დარჩენილი ბილეთები იყიდება კასაში.

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოებაში.** ოთხშაბათს, ივლისის 5-ს, საღამოს 8 საათზე ეროვნულ გალერეიის დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, № 13) მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც პროფესორი გ. ჩუბინიშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „Іоанно-Зедазенскій монастырь, и его отношеніе къ кахетинской архитектурѣ“.

—

შეცდომის გასწორება

ამხ. გ. მუშიშვილის წერილში, „ტრიბუნას“ 231 №-ში არის შემდეგი მთავარი კორექტურული შეცდომა: სწერია: „დას. საქ. ხორბლეულობაში ნატურგადასახადმა მოგვცა შენაკვეთის 33,3 პროც.“ უნდა იყოს „..13,3 პროც.“.

მალიარიის საწინააღმდეგო კონფერენცია

საღამოს სხდომა ივნისის 29-ს გაიხსნა პროფ. მარტინოვსკის მოხსენებით მალიარიის წამლობაზედ. მოიხსენია რა სხვა და სხვა საშუალებანი ამ სენის წინააღმდეგ საექიმო, მომხსენებელი მივიდა საერთო დასკვნამდე, რომ ერთად-ერთი რაციონალი წამლობა მალიარიისა ვერ მოშორებია ქინაქინას; სხვა და სხვაობა შეაქვთ მხოლოდ ამ წამლის მიღების წესში და რაოდენობაში.

პროფილაქტიკა ქინაქინის საშუალებით. ტფილისის სამალიარიო სადგურის გამგემ პროფ. ვირსალაძემ გააკეთა მოხსენება პროფილაქტიკაზედ ქინაქინის საშუალებით. მოიხსენია სხვა და სხვა მეთოდები თავდაცვითი ქინიზაციისა და აღნიშნა, რომ საუკეთესო მეთოდად უნდა ჩაითვალოს შეერთებული მეთოდი ჩელლიოციმანისა. იტალიელ პროფესორის ჩელლის მეთოდით წამლობა სწარმოებს ყოველდღიურად ქინაქინის 0,3 გრამის მიდებით, გერმანელი პროფ. ციმანის მეთოდით კი—ყოველ მეოთხე დღეს თითო გრამი.

პროფ. შიროკოგოროვის მოხსენების შემდეგ შესახებ ჭირის წინააღმდეგ ბრძოლისა ამიერ კავკასიაში 1920 წ., ექ. ფედოროვმა გააკეთა დაწვრილებითი მოხსენება ამიერ-კავკასიის რკინის გზების მედიკო-ტოფოგრაფიაზედ მალიარიის თვალსაზრისით. ფედოროვის მოხსენებას თან ახლდა ძრავალი დიაგრამები და სურათები. კამათი სიგვიანის გამო გადაიდო შემდეგი დღისათვის.

კონფერენციის მეოთხე და უკანასკნელი დღე. მეექვსე სხდომა, ივნისის 30 გაიხსნა ენტომოლოგის ზაიცევის მოხსენებით კოდოებთან ბრძოლის შესახებ, რის შემდეგ ექ. ისაევმა გააკეთა მოხსენება მალიარიით დასნეულებულთა რეგისტრაციის ერთიან გეგმაზედ. პროფ. მარტინოვსკი კი გამოვიდა მოხსენებით **საპროგრამო** საკითხზედ, რომელიც მოითხოვენ დამუშავებას და მეცნიერულ შესწავლას.

დასასრულ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია მალიარიის წინააღმდეგ ბრძოლის გაერთიანებისა, რისთვისაც უნდა დაარსდეს საბჭოთა რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებთან სამალიარიო კომისიები და ამიერ კავკასიის სამალიარიო კომიტეტი ფედერალურ საბჭოსთან.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი № 8.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა. წითელარმიელთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფის დეკრეტის დამატების შესახებ, სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1.—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ—წითელ-არმიელთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ—1922 წლის აპრილის 25 თარიღითა და მე № 3-ით გამოცემული დეკრეტის მე-5 მუხლს დაერთოს შემდეგი **შენიშვნა:**

„ამა მუხლის მოქმედება არა ვრცელდება იმ პირებზე, ვინც ეწევა ვაჭრობას, მრეწველობას ან სხვა რამ წარმოებას,—რის შემოსავალიც განთავისუფლებულ არ უნდა იქნეს გადასახადებისაგან“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე**

1922 წ. ივნისის 30.

ტფილისი-სასახლე.

—

დეკრეტი № 9.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

ქალაქების ფარგლებში მდებარე მიწების გამო აღძრული დავის გადაწყვეტის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი,—იღებს რა მხედველობაში, რომ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი აწარმოებს ერთ მთლიან საადგილ-მამულო პოლიტიკას, ადგენს:

1. საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის ივლისის 27 თარიღითა და 62 №-რით გამოცემული დეკრეტი—მიწის გამო აღძრული დავის გადაწყვეტის შესახებ—გავრცელდეს აგრედვე ქალაქების ფარგლებში მდებარე მიწებზედაც, გარდა ქ. ქ. ტფილისისა, ბათომისა, ქუთაისისა და ფოთისა.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის ღღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. ივნისის 30.

ტფილისი—სასახლე.

—

დადგენილება № 8.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

საქართველოს რევოლიუციონური ტრიბუნალის დებულების 31 მუხლის შეცვლისა და დამტკიცების შესახებ.

საქართველოს რევოლიუციონური ტრიბუნალის დებულების 31 მუხლის შეცვლისა და დამტკიცებისათვის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს რევოლიუციონური ტრიბუნალის შესახებ მოქმედი დებულების 31 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„განაჩენი, რომელსაც ხელს აწერს უწყებული საქმის გამრჩევი სასამართლოს საკრებულოს ყველა წევრი, უნდა შედგენილ იქნეს წერილობით, სადაც აღინიშნება სასამართლოს სხდომის დრო, საკრებულოს შედგენილობა, ბრალდებულის ან ბრალდებულთა სახელი, მამის სახელი, გვარი, ჰასაკი, კლასობრივი მდგომარეობა, დანაშაულობის ჩადენის დრო და ადგილი, საქმის გარემოება, რომელიც ბრალდების საგნად შეიქნა და როგორც დასკვნილი დადგენილებიდან, ისე სასამართლოს გამოძიებიდან გამომდინარე მოსაზრებანი, რაც საფუძვლად დაედვა დანაშაულად აღიარების გახაჩენს და სასამართლოს მიერ არჩეულ სასჯელს; ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც გამოტანილ იქნება გამამართლებელი განაჩენი—აღნიშნული უნდა იყოს საფუძველი ბრალდებულის უდანაშაულოდ ცნობისა ან იმისა, რომ ჩანადენი მას ბრალად არ ჩაეთვალა.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე რთული იქნება, სასამართლოს შეუძლიან დაკმაყოფილდეს, თათბირის შემდეგ, სხდომაზე მოკლე რეზოლიუციის გამოცხადებით, რომელშიაც უნდა აღინიშნოს იგივე ცხობები, რაც განაჩენში, ხოლო საქმის გარემოება ვრცლად არ იქნება მოთხრობილი, არამედ განმარტებულ იქნება მარტო ბრალდების საგანი და როდი აღინიშნება ის მოსაზრებანი, რაც განაჩენს საფუძვლად დაედვა. ვრცელი განაჩენის გამოცხადება ამ შემთხვევაში გადაიდება შემდეგი დროისათვის, ხოლო იგი დამზადებულ და გამოცხადებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს სამის დღისა მოკლე რეზოლიუციის გამოცხადებიდან.

სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. ივნისის 30.

ტფილისი—სასახლე.

—

დადგენილება № 9.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა. რესპუბლიკის უღარიბეს მცხოვრებთა სოციალური და სახელმწიფოებრივი დახმარების შესახებ.

რადგან სახელმწიფო ხაზინა ამ ჟამად მეტად შევიწროვებულია და ამიტომ საჭირო უღარიბეს მცხოვრებთა სოციალური დახმარების საქმეში მშრომელთა ფართო წრეები—გლეხები, ხელოსნები, შინა მრეწველები და სხვა წვრილი მწარმოებლები იღებდნენ მონაწილეობას თვითმოქმედების გამოჩენით და ურთიერთ დახმარების საშუალებით,—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა საკითხი რესპუბლიკის უღარიბეს მცხოვრებთათვის სოციალური და სახელმწიფოებრივი დახმარების საქმის მოწყობის შესახებ, ადგენს: წინადადება მიეცეს შრომის სახალხო კომისარიატს ამ საქმეს საფუძვლად დაუდოს შემდეგი დებულებანი:

1. დაუყოვნებლივ მოწყობილ იქნეს გლეხთა ურთიერთი დახმარების კომიტეტები, ურთიერთი დამზღვევი საზოგადოებანი, შემდგარი ხელოსანთა, შინამრეწველთა და სხვა წვრილ მწარმოებელთაგან, რომელნიც სხვის შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან და აგრეთვე სხვა დამხმარე საზოგადოებრივი კომიტეტები;—ამასთანავე ამ საზოგადო ორგანიზაციებს უნდა გაეწიოს ფხიზელი მეთვალყურეობა, სისტემატიური კონტროლი და დახმარება მათი მუშაობის მაქსიმალური მთლიანობისა, თანაბრობისა და ნაყოფიერებისათვის.

2. იმ პირთ, რომელნიც უკიდურესს გაჭირვებაში იმყოფებიან, მიეცეს ყოველგვარი შეღავათი მათი ცხოვრების და არსებობის საერთო პირობების გასაუმჯობესებლად, ბინის ქირის გასტუმრება, სამშობლოში წასვლისათვის ხელშეწყობა, დახმარება ინვალიდების გაერთიანებული საწარმოო ორგანიზაციისათვის და სხვ.)

3. თვითეულ ცალკე,—გადაჭრით გარკვეულ,—შემთხვევაში გაეწიოს უღარიბესს მოქალაქეთ ერთდროული დახმარება (მიცვალებულის დასასაფლავებლად, სამშობლოში წასასვლელად, მძიმე ავადმყოფობის დროს და სხვ.)

4. რეგულიარულად ფულადი შემწეობა (პენსიები), არსებულ თანხის ფარგლებში დაწესდეს იმ ინვალიდებისათვის, რომელნიც უკიდურესს გაჭირვებაში იმყოფებიან.

შენიშვნა: ამ დადგენილებით უქმდება საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წ. ივნისის 19-ს გამოცემული დროებითი წესები უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ შრომის უნარ მოკლებულთა უზრუნველყოფის შესახებ.

5. წინადადება მიეცეს შრომის სახალხო კომისარიატს გამოსცეს ყველა საჭირო დებულება, ინსტრუქცია, შემწეობის ნორმები—რესპუბლიკის უღარიბესს მცხოვრებთა სოციალური და სახელმწიფოებრივი დახმარების საქმის განსახორციელებლად ზემოადნიშნულ საერთო საფუძვლებზე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. ივნისის „30“.

ტფილისი—სასახლე.

პასუხისმგებელი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი